საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

№107 (6484) 22 ოქტომბერი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი—91

რთველი დაიწყოს ახლა ჯერი თქვენზეა, მევენახეებო!

პრეფექტურაში

სახელმწიფოს ინტერესებისათვის

რთული ვითარებაა საქართველოში. დესტაბილიზაციას ხელს უწყობს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მემკვიდრეობად მივიღეთ და ახლა, რესპუბლიკის ფაქტიური ბლოკადა კიდევ უფრო დიდ სიძნელეებს გვიქადის.

ამათა მკვლელი დაპირისპირებით ეგზალტირებულ საზოგადოებას ძნელია მოჰკითხო ორგანიზებული შრომა, ნებისყოფა, ეკონომიკური უკუგება, მაგრამ რას ვიზამთ, საქმე თავისას ითხოვს, ჩვენი საბოლოო მიზნის—სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, ცივილიზებული დემოკრატიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, მსოფლიო აღიარების მისაღწევად აუცილებლად უნდა დავეუფლოთ ეკონომიკურ აზროვნებას, შრომის კულტურას, სიყვარულს.

სექტემბერ-ოქტომბერი უკვლაზე სისხლიანი აღმოჩნდა ქართველთათვის, და ბუნებრივია, თითქოს მეორეხარისხოვანია საუბარი ცხოვრებისა და შრომის რიტმზე, ნებისმიერ სფეროში კონტროლსა და მომთხოვნელობაზე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებაზე, სახელმწიფო შეკვეთების შესრულებაზე.

ამ და სხვა საკითხებზე იყო მსჯელობა ამ დღეებში რაიონის პრეფექტურაში გამართულ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მოსავლის უდანაკარგოდ აღების, მოსახლეობის მეურნეობის ხურსათით მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რაიონული შტაბის მორიგ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოთა გამგებლები, საზოგადოებრივ მეურნეობათა, საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო დავალებების შესრულების მიმდინარეობაზე ინფორმაციით გამოვიდა რაიონის პრეფექტის პირველი მოადგილე გიორგი ჯიაძე.

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღება-გადამუშავებისათვის კარგად მოემზადნენ ყურძნის გადამუშავებელი და ხილის მიმღები პუნქტები, სასურსათო კომბინატი. ამას შემოდგომის ხელსაყრელი ამინდებიც დაერთო და საიმედო წინამძღვრები შეიქმნა მოსავლის მიღება-გადამუშავება-დაბინავებისათვის.

მიუხედავად ამისა, რაიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დაკვეთების შესრულებაში არასახარბიელო მდგომარეობაა. ჩაიშალა კურკოვანი ხილის დამზადების დაკვეთა—2900 ტონიდან დამზადებულია 542 ტონა ანუ 2358 ტონით ნაკლები წინა 1990 წელთან შედარებით. კი მართალია, წელს ხილის საბაზრო ფასი ერთი-სამად გაიზარდა და ბუნებრივია, მოსახლეობამ ბაზარს მიაშურა, მაგრამ თუ კი სწორ ახსნა-განმარტებით მუშაობას გავწევდით, ტრანსპორტირებაში დავეხმარებოდით მოსახლეობას, კარგი მსხმოიარობის პირობებში შევძლებდით უკეთესი მოსავლის მიღებას.

ახლა მთელი ყურადღება თესლოვანი ხილის დამზადებაზე უნდა გადავიტანოთ, ტემპი კარგია და შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 1130 ტონით მეტია დამზადებული, მაგრამ იმისათვის, რომ გადავფაროთ კურკოვანი ხილის დამზადებაში არსებული გარღვევა და ეავითვალისწინოთ მოსალოდნელი შეფერხებები საწვავის, ამინდისა თუ სხვათა გამო, საჭიროა დღენიადაგ ორგანიზებული შრომა, რათა სახელმწიფო შეკვეთა, რომელიც 4000 ტონა ხილის დამზადებას ითვალისწინებს, აუცილებლად შევასრულოთ.

სხდომაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი რთველისათვის მზადების მდგომარეობას. ითქვა, რომ ღვინო დღეს რესპუბლიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ყურძნის სახელმწიფო მარანისათვის ჩაბარება, როგორც არასდროს, მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა, რესპუბლიკის ავტორიტეტისა და ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზაა.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

შემოდგომის მზიანი დღეებია. ასეთი ხანგრძლივი დარი იშვიათად თუ ვინმეს ახსოვს. თითქოს ბუნება იქედნურად დაჰყურებს ჩვენს ნერვულ და დაძაბულ გარემოს.

სოფლის მშრომელებს ყოველგვარი საშუალება აქვთ მოსავლის აღება-დაბინავების, ზამთრისათვის მზადებისათვის.

რთველი იყო, არის და იქნება ლეჩხუმელი კაცის შრომის გვირგვინი. წლევანდელი შემოდგომისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოემზადნენ რაიონის ღვინის საწარმოები. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღების ძირითადი საშუალება ხომ მევენახეობა-მეღვინეობაა, სწორედ ქართული ღვინო და კონიაკი საერთაშორისო ბაზარზე სავალუტო გაცვლის ძირითადი წყაროა.

მიმდინარე წელს გაცილებით უკეთესი პირობებია მევენახეთათვის.

გვინდა ჩვენს მშრომელებს სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ახალი ფასები აქვე გავაცნოთ—უსახელოურის ჯიშის ყურძნის ფასი 23 გრადუს საბაზისო შაქრიანობაზე 3 მანეთი და 50 კაპიკია, 21 გრადუსი შაქრიანობის ოჯალეშის—3 მანეთი, ცოლიკაურის—2 მანეთი და 50 კაპიკი, იზაბელას (16 გრადუსი შაქრიანობა)—70 კაპიკი, ხოლო დანარჩენი ტექნიკური ჯიშები 18 გრადუსი შაქრიანობისას—80 კაპიკი. საბაზისო შაქრიანობის ზევით ანაზღაურებას 5 პროცენტი ემატება, ხოლო ქვევით კი იგივე პროცენტი აკლდება.

ახლა ჯერი თქვენზეა, მევენახეებო, როგორც ხედავთ, ანაზღაურება ცუდი არაა და სწორედ თქვენი საზრიანი მოქმედება და სამშობლოსადმი ერთგულება დაედება საფუძვლად იმ 2000 ტონა ყურძნის დამზადებას, რაც სახელმწიფო დაკვეთით რაიონის ღვინის საწარმოებმა უნდა მიიღონ და გადააშუშაონ. მართალია, ფასები გაზრდილია, მაგრამ ზოგიერთ მევენახეს მაინც ურჩევნია თავისი ნაშრომი ბაზარზე წაიღოს გასასყიდად და ხდება ისე, რომ ბაზარზე იმაზე მეტს ვერაფერს იღებს, რასაც სახელმწიფო უხდის.

ყურძენი სრულ სიმწიფეშია შესული, რთველის მასიურად დაწყებას უკვე აღარაფერი უდგას წინ. სეზონისათვის ბევრი რამ გაკეთდა ღვინის საწარმოებში.

ყურძნის კრეფა მიმდინარეობს რაიონის თითქმის ყველა რეგიონში, გარდა ოყურეშისა და დღეისათვის სულ ღვინის საწარმოებს 96 ტონა ყურძენი აქვთ მიღებული. აქედან ყველაზე მეტი (91 ტონა) ჯერჯერობით ორბელის ღვინის საწარმოს აქვს მიღებული. პატრიოტიზმი, ქვეყნისადმი გულშემატკივრობა ჩანს იმ მევენახეთა საქციელში, რომლებსაც მოწეული ყურძნის მხოლოდ სახელმწიფოსათვის ჩაბარება აქვთ განზრახული. ლაჯანელმა გრიშა ლეშკაშელმა, რომელიც რაიონში განთქმული მევენახეა, ამ დღეებში ორბელის ღვინის საწარმოს 2500 კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძენი ჩააბარა, რამაზ მახარობლიძემ—900 კილოგრამი ოჯალეშის და ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი, ორბელელმა გივი მინდაძემ 918 კილოგრამი და ასე შემდეგ.

ეჭვი არ არის, რომ რაიონის მევენახეები მაგალითს მათგან აიღებენ და ყურძნის მოსავალს ღვინის საწარმოებს მიჰყიდიან.

მაშ ასე, ჯერი თქვენზეა მევენახეებო!

გამოიწერეთ „ლეჩხუმი“

დაიწყო და უვლა საფოსტო განყოფილებაში მიმდინარეობს ხელმოწერა მომავალი 1992 წლისათვის რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე“.

რესპუბლიკაში ძალადაკარგულია დეფიციტის. გაზეთის მომზადებისათვის საჭირო სხვა მასალების გაძვირების გამო ეიმატა ხელმოწერის ფასმა და წლით ხელმოწერის ფასია 10 მანეთი და 80 კაპიკი. 6 თვით—5 მანეთი და 40 კაპიკი.

ხელმოწერა მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის“ რაიონულ განყოფილებასა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის საფოსტო განყოფილებებში ყოველდღე.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი“. იგი თქვენი მუშაობლიური გაზეთია და თქვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი იქნება.

„საქართველოს ერთგულება ენატრება,
სიყვარული ენატრება გელათს,
მთაწმინდიდან გადმოდექი,
გევედრები,
ქართველები შეარიგე მერაბ!“

მტერმა რა დამანგრეველ ალებსაც არ უნდა მიმართოს, ვერ მოგვერევა, თუ ჩვენ, ქართველებმა არ დავლაწვეთ და დავანგრიეთ ის, რაც საუკუნეების მანძილზე გვიშენებია. დასაბამიდან ეს პატარა ქვეყანა მსოფლიო გიგანტებს ედგა პირისპირ. საქართველო და ბიზანტიის იმპერია, ირანის შაჰინშაჰი, არაბეთის ხალიფა და ამასთან ერთად „ახალი რომი“, „სხუა ათინი“, „მეორე იერუსალიმი“. ჩვენს ისტორიასთან სულ მცირედ დაკავშირებულ ყველაფერ კი სიამაყესთან ერთად გააოგნებს ჩვენი წარსული. რითი და როგორ შეძელით ამდენი მტრის მოგერიება, მოყვარისათვის მოყვრულად დასვედრა?

მაგრამ უნდა გავიხსენოთ, იმ ძნელბედობის ჟამს წინ მიგვიძღოდა დავითის, თამარის, რუსთველის, ილიას, ვაჟას და აკაკის ნათელი სახეები. როგორი საჯალალია და სამწუხარო, რასაც დღეს ვხედავთ და ვერ ვხედებით, რა მოგვდის, რა გვემართება. ნუთუ ღვთისმშობლის წილხვედრმა საქართველომ სინანულიანი სიტყვებით უნდა გაგვცეს პასუხი: — ეს რა ერი გამიზრდიხართო?

„არა, არ ვგონია სხვაგან სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და წამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილუბრალოზედ ილახებოდეს, როგორც ჩვენში. ჩვენის ფიქრით კი ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს-რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახი. ადამიანი ადამიანობს მარტო პატიოსნებით და ნამუსითა, ვინც ეს იცის, იმისათვის შებღალვა ან ერთისა და ან მეორისა ყოველს დანაკლისზედ უმძიმესია, ყოველს მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა—მართლაც რა კარგად აქვს ნათქვამი დიდ მამულიშვილსა და პატრიოტ მწერალს, დიდ ილია ჭავჭავაძეს.

„ქართველი შეარიგე, მერაბ!“

თუმცა ასეა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩირქის მოცხება, პატიოსნებისა და ნამუსის შებღალვა ძალიან დაგვჩემდა. უკადრის მოქმედებას არსად და არავისთან ვერიდებით, წარბსაც არ შევიხრით. პირიქით, გავსძახით: უჰ, რა ლაზათიანად გამოგილანძია ამ კაცმა ის კაცოო. ამისთანა საქციელს არ ვერიდებით არც შინა, არც გარეთ, არც საზოგადოებაში, არც ცალკე.

მაშ, რა ღონე ვიხმაროთ, ვის მივმართოთ ერთიერთდაწყნარებისათვის, მოდრეკისათვის. ისტორიას სამარცხვინო ბოძზე ნუ გავაკრავთ, მან ჩვენი მოქმედება, ჩვენი ზნეობა უნდა ჩაიწეროს ფურცლებზე და შთამომავლობას გადასცეს.

მოგვიწონებს კი ამას მომავალი? პოლიტიკურ ამბიციებს აყოლილნი, ერთმანეთს ვესვრით, სისხლს ვღვრით, ბავშვის ტირილს ქვემეხების გრუხუნზე ვცვლით. სად არის სამართალი, ქართველებო, მტერი სიცილში დავღალოთ? მოყვარეს კი ცრემლი ვადინოთ და გზა გადავუღობოთ, ორმო გავუთხაროთ და კლდეზედ გადაკიჩხოთ სიმე?

მწამს, რომ გაიმარჯვებს ეროვნული მოძრაობის ფერხულში ჩაბმული ჩვენი ინტელიგენცია. „ჭირსა შიგან გამაგრებაო“— ნათქვამია. ასე უნდა გავუმაგრდეთ გარეშე თუ შინაურ დაუნდობელ მტერს.

ძალიან მინდა ვნახო ერთიანი, ძლიერ შეკრული საქართველო. ძალიან მენატრება ღიმილიანი, სათნო, კეთილი სახეები. მენატრება მუშტად შეკრული ქართველებით სავსე რუსთაველის პროსპექტი, გონს მოდით, ქართველებო! ღმერთის წინაშე ყველანი ცოდვილნი ვართ. ქრისტე ღმერთმა ეს ცოდვები გვაპატია. ჩვენ ჩვენის ერის გადარჩენს, სამშობლოს ბედი რომ გზად და ხიდად გაიდო და მისი გადარჩენა ითავა, შეცდომა არ უნდა ვაპატიოთ?

ამ კინკლაობაში (თუ ძართლაც კინკლაობა ჰქვია) ერის ბედი იღუპება. სისხლით გაპოხილ მამულის ბედს ნუ ჩავუგდებთ ისევ და ისევ სატანურ ძალას, რომელიც შორიდან გვიცქერის. გულში იღიმება და ამბობს: — გაჰხედეთ საქართველოს, ქართველები სჩამენ და ძირს ეცრღნიანო.

ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ურთიერთპატივება, შერიგება, მტკიცე თანადგომა პარლამენტსა და ერს შორის, — ამ დროს მტერი ვერას დაგვაკლებს.

მთაწმინდიდან გადმოდექი, გევედრები, ქართველები შეარიგე მერაბ!

ᲜᲘᲜᲝ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

სოფ. ქორენიში.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ქართულ აბრეშუმზე ძველთაგანვე იყო დიდი მოთხოვნილება, მაგრამ ნედლეულის მიწოდებაში ხშირი შეფერხებები აგრძელებენ გზას მომხმარებლამდე. ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ეძებს შესაძლებლობებს, რომ რიტმიდან არ ამოვარდეს. ამაში მას ეხმარება პირდაპირი კონტაქტები რესპუბლიკებთან, საზღვარგარეთელ პარტნიორებთან.

ბევრი რამ კეთდება გაერთიანებაში პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური სტრუქტურის შესაქმნელად. გაუქმებულია ზედმეტი რგოლები, შემცირებულია არაეკონომიკური სამუშაო ადგილები, ამუშავდა ახალი საწარმოო უბნები. 700 მანეთამდე გაიზარდა ორ ცვლაში მომუშავე ფეიქართა და მკერავთა საშუალო ხელფასი.

სურათზე: საასორტიმენტო კაბინეტის თანამშრომლები მ. ხმელიძე და მ. შარაშიძე საგამოფენო სტენდთან.

სახელმწიფოს ინტერესებისათვის

(დასასრული)

სოფლის მშრომელებმა საიჯარო ფართობებიდან მარცვლეულის მოსავალი მთლიანად წაიღეს, მაგრამ ამჯერად რესპუბლიკის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს ყურძნის მოსავალი ურთიერთსახელშეკრულებო ფასებში სახელმწიფოს მივყიდოთ.

პირველ ყოვლისა იჯარით გაპიროვნებულ ვენახებზეა ლაპარაკი, სადაც საიჯარო ხელშეკრულების თანახმად მოწეული ყურძენი უნდა მივიტანოთ სახელმწიფო მარანში, რა თქმა უნდა მევენახის სახელზე, მის ანგარიშზე, მით უფრო კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძნის ფასი (21 გრადუსიანისა) 3 მანეთია, ცოლიკაურისა—2 მან და 50 კაპიკი და ა. შ.

ახლა მთავარია, ითქვა სხდომაზე, საკრებულოებმა, დეპუტატებმა, კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა სწორი მუშაობა გასწიონ ადგილებზე, ერთხელ კიდევ აუხსნან მშრომელებს რესპუბლიკაში, მის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა და დარაზმონ ისინი ამ გაჭირვების ჟამს თავიანთი წვლილი შეიტანონ რაიონში 2000 ტონა ყურძნის დამზადებაში, მით უფრო რომ, ტრადიციულად ჩვენ საიჯარო ვენახებიდან და საკარმიდამო სექტორიდან 2-ჯერ და მეტ ყურძენს ვამზადებდით.

სტიქიური მოვლენების გამო, წელს რაიონს ხორცისა და რძის დამზადების დაკვეთები მოეხსნა. ამის მიუხედავად, მოსახლეობაში პირუტყვისა და პროდუქტიულობის ზრდის ტენდენცია არ შეინიშნება. როგორც მონაცემები ადასტურებს, წარმოებული ხორცის მნიშვნელოვანი ოდენობა რაიონს გარეთ იყიდება კოოპერატივებსა და კერძო პირებზე, რომლებიც მოგების მიზნით ახდენენ მის რეალიზაციას. არის ფაქტები, რომ მოსახლეობაზე იჯარით გაცემული პირუტყვი კერძო პირებსა და საკარო ობიექტებზე იყიდება. დაისვა საკითხი დაუყოვნებლივ ჩატარდეს პირუტყვის ინვენტარიზაცია, აღიკვეთოს მეცხოველეობის საქმეში არსებული უკონტროლობა და განუკითხაობა. გამოინახოს საშუალება მოსახლეობისათვის ჩაბარებული პროდუქციის სანაცვლოდ სასურსათო თუ სამრეწველო საქონლის შემოზიდვისთვის.

სხდომის მონაწილეებმა რაიონზე დაშვებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დავალების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროდ მიიჩნიეს პრეფექტურის ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობით სოფლებსა და საკრებულოებში ჩატარდეს კრებები, განემარტოთ მშრომელებს ურთიერთშეთანხმებული ფასები, დახმარება გაეწიოთ მათ მოსავლის ნაკვეთებიდან გამოტანა-ტრანსპორტირებაში.

ფულის მიმოქცევის საქმეში არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია გააკეთა პრეფექტის მოადგილემ კობა ფრუიძემ. აღნიშნა, ამ საქმეში ცუდი მდგომარეობაა, რის გამოც გაუცემელია პენსიები, ხელფასები და ა. შ. ფულის მიმოქცევის რეგულირებას ყურადღება უნდა დაუთმონ საკრებულოებმა, შესაბამისმა სამსახურებმა.

რაიონის მშრომელთა სასურსათო პროდუქტებით მომარაგების თაობაზე ინფორმაცია გააკეთა რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ზაურ ბენიძემ. რაიონის სავაჭრო ობიექტები მიიღებენ პურის ფქვილს, კუთვნილ ნავთს, სავაჭრო ქსელში მიღებულია ზეთი, მაგრამ რაც შეეხება შაქარს, მიმდინარე თვეში მხოლოდ 300 კილოგრამი გამოეყო რაიონს, რაც ალბათ მცირეწლოვან ბავშვებსაც არ გაწვდება მინიმალურად.

სხდომაზე გამოვიდნენ სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის დირექტორი ჯეირან ჩაკვეტაძე, ელექტროქსელების ცაგერის უბნის უფროსი ამირან ყურაშვილი, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის უფროსი მურად მიქაძე, წიფერჩის, უსახელოს, ლასურიაშის საკრებულოთა გამგებლები გია ჩარკვიანი, ავთო თვარაძე, როსტომ ბრეგვაძე, წიფერჩის, ცაგერის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ტიტიკო კოპალიანი, ზურაბ ჩიქოვანი, აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსი ეორა საღინაძე და სხვები.

აქტუალური ინტერვიუ: ეკონომიკური სირთულეების

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ და ფინანსთა სამინისტროების ბაზაზე შეიქმნა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო. ორგანიზაციული ცვლილებების შესაბამისად განხორციელდა ზემოთხსენებულ უწყებებისადმი დაქვემდებარებული სხეადასხვა ორგანიზაციის ლიკვიდაცია და ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება, მათ შორის შეიქმნა ეკონომიკისა და ფინანსების ინსტიტუტი გაუქმებული ეკონომიკისა და პროგნოზირების, ასევე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტების ბაზაზე. საქინფორმის კორესპონდენტს გულიკო მარკოზაშვილს ესაუბრა ახლად შექმნილი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იაკობ მესხია.

—ბატონო იაკობ, თუ შეიძლება მოკლედ მოუთხროთ მკითხველებს, რამ გამოიწვია ასეთი კატასტროფული მდგომარეობა ეკონომიკაში?

—მთელ რიგ სხვა პირობებთან ერთად, ამჟამი ძირითადი მიზეზია საბაჭრო მეურნეობაზე გადასასვლელად ჩვენი ეკონომიკის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური მოუმზადებლობა. დიდი იდეოლოგიური დავისა და დისკუსიის შემდეგ ჩვენ იძულებული გავხდით გვეღიარებინა საბაზრო ურთიერთობათა უპირატესობა. მაგრამ ამის პარალელურად მიმდინარეობდა თავისუფალი მეწარმეობის ელემენტების, ასე ვთქვათ, ძალისმიერი ნგრევა. არ გვქონდა არც კანონები, არც ნორმატიული დოკუმენტები, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი, უფრო სწორად, აქტიური და საქმიანი ნაწილი, არ დაელოდა არავითარ სახელმწიფოებრივ ინსტრუქტაჟს და გადავიდა თვითშემოქმედებითს კომერციულ და მეწარმულ საქმიანობაზე. ამასთან, აღნიშნული საქმიანობა, ძირითადად, დაეყრდნო იოლი გზებით მოგების მიღებას, რაც გასაკვირი როდია. ამიტომაც კოოპერატივების უმრავლესობის საქმიანობა წარიმართა იქითკენ, რომ სახელმწიფო სექტორიდან შეესყიდათ შედარებით იაფ ფასებში ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები და ისინი მცირეოდენ გადაემუშავებინათ, ახ კიდევ პირდაპირ მოეხდინათ მათი რეალიზაცია. დეფიციტის პირობებში კოოპერატივებს დიდი მოგების მიღების საშუალება გაუჩნდათ, რაც მშრომელთა საშრომლიან გულისწყრომას იწვევს. საჭიროა გაოკეული დრო და შესაბამისი კანონები, რათა საბაზრო მეურნეობამ ცივილიზებული სახე მიიღოს.

—აშკარაა, რომ მდგომარეობა თანდათან იძაბება, ზამთარი კარს მოგვადგა. როგორი გზებითა და ფორმებით უნდა გამოვიდეთ შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან?

—უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მივაღწიოთ პოლიტიკურ სტაბილურობას რესპუბლიკაში. ვიდრე პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მივიღებდეთ, უნდა მოხდეს მთელი პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების აზრთა შეწონასწორება და, როგორც იტყვიან, კონსენსუსის მიღწევა. ეს ერთერთი უმთავრესი პირობაა ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზაციისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ღღეკანდელი ქაოსი და განუკითხაობა გაგრძელდება და

შედეგად კატასტროფაც გარდუვალია. საჭიროა დაჩქარდეს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის კანონების შემუშავება და მიღება.

რაც შეეხება ეკონომიკისა და

სკოლა და ცხოვრება

ქვედა ცაგერის არასრულ-საშუალო სკოლაში ბოლო წლებში ხელშესახები ცვლილებები მოხდა მოსწავლეობლგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის გარდაქმნის საქმეში. სკოლის დირექციამ (დირექტორი დ. კოპალიანი), მშობელთა შემოტანილი იქნა 4 ათასი მანეთის სასკოლო ავეჯი, ახალი მერხები, ფიზიკისა და სხვა კაბინეტებისათვის საჭირო ინვენტარი; აგრეთვე 5 ათასი მანეთის თვალსაჩინო მასალები და სწავლების ტექნიკური საშუალებანი. დავათვალიერეთ დიდაქტიკური მასალით მდიდარი, სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტები და კმაყოფილი დავრჩით.

საკლასო ოთახები, დერეფნები, სკოლის ეზო ლამაზად გამოიყურება.

კარგად მოემზადნენ

კომიტეტმა (თავმჯდომარე დესნა სილაგაძე), სკოლის პედაგოგებმზრდელებმა კარგად იციან—ახალი სასწავლო წლისათვის დროული და ყოველმხრივი მომზადება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია იმისა, რომ სწავლის დასაწყისიდანვე შეიქმნას პირობები მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობისათვის. ამიტომ დროულად შეადგინეს და აპრილის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დაამტკიცეს 1991-1992 სასწავლო წლისათვის მზადების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა და იმდღიდანვე დაიწყეს ზრუნვა მისი შესრულებისათვის.

მოსწავლეების, აღმზრდელ-სასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების კაუზარელი და ენერგიული მუშაობით ჯერ კიდევ ივნისში ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი საკლასო ოთახებს, შეიღება იატაკი და დაიგო ლინოლეუმი, შერემონტდა დგამავეჯი.

განათლების განყოფილებამ სკოლას კაპიტალური რემონტისათვის გამოუყო 25 ათასი მანეთი. შესრულდა შემდეგი სამუშაოები: შეიღება სკოლის შენობის თუნუქის სახურავი, შენობის გარე ფასადები; აშენდა შეშის შესანახი სათავსო, ტუალეტი. ბევრი რამ გაკეთდა სკოლის ეზოს გალამაზებაკეთილმოწყობისათვის, შეკავდა ლითონის მასალით. მიმდინარეობს სპორტული მოედნის მოწყობა, მოასფალტდა სპორტული მოედნის მინდორი და სკოლაში მისასვლელი გზები.

დროულად იქნა მოსწავლეებზე განაწილებული სახელმძღვანელოები.

სკოლა დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით. პირველ კლასში ჩაირიცხა 18 მოსწავლე, მათთან პედაგოგმა სულიკო მუშკუდიანმა სწავლების დაწყებამდე მთელი თვე იმუშავა. პირველკლასელებს შეურჩიეს ნათელი და ვრცელი საკლასო ოთახი შესაფერისი დგამ-ავეჯით.

გაწეული დიდი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად ორგანიზებულად დაიწყო სასწავლო წელი და ნორმალურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

სკოლა ზამთრის თბობისათვის უზრუნველყოფილია. შემოზიდულია 40 კუბური მეტრი შეშა, აქვთ საჭირო რაოდენობის თუნუქის ღუმელები.

სკოლის დირექტორმა დ. კოპალიანმა გულისტკივილით გვითხრა მთავარ გასაჭირზე, რომ სკოლას ეზოში არ აქვს სასმელი წყალი და ვედროებით ქნიდებიან შორი მანძილიდან 100-ზე მეტი ბავშვისა და 30-მდე თანამშრომლისათვის, რაც ქმნის დიდ სიძნელეებს. ისიც გვითხრა, რომ ესაჭიროებათ რამდენიმე კვადრატული მეტრი მინა, უჭირთ ცარცისა და ხარისხიანი საკლასო დაფების შოვნა და სჭირდებათ დახმარება.

ქვედა ცაგერის არასრულ საშუალო სკოლაში ბევრი რამ გაუკეთებიათ ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. სკოლაში დღეს არსებული სიტუაცია იმის გარანტიაა, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დარაზმულია რომ მთავარი მიზანი—სწავლება და აღზრდა წარმართონ ახალი მოთხოვნათა შესაბამისად.

ვლ. დავითულიანი.

გალაკტიონ ტაბიძე — 100

წლეულს, 17 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძე 100 წლისა სრულდება. ამ პოლიტიკურ ორომტრიალშიც უკვდავების ნათელი უნდა მოვფინოთ მგოსნის სახელსა და შემოქმედებას.

ჩვენში საუკუნის 20-იან წლებში მაშინ, როცა ჭაბუკი პოეტის წიგნიც გამოიცა, მისი ნიჭი გაფურჩქვნის სტადიაში იყო, უჭირდა პოეტს მატერიალურად. ყოველმხრივ.

ქუთაისის ინტელიგენცია 1915 წლის სექტემბერში გალაკტიონ ტაბიძესთან ლიტერატურული შეხვედრისათვის ემზადებოდა, შემოქმედებითი საღამოს წინა დღეებში გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა ია ფანდაძემ თავისსავე გაზეთში დაბეჭდა წერილი „დავეხმაროთ მგოსანს“.

ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველები, დიდი გალაკტიონის თაყვანისმცემლები, ინტერესით წაიკითხავენ 76 წლის წინათ დაბეჭდილ ამ სტატიას და თანამედროვეობასთან კავშირში ბევრი რამ ენიშნებათ.

დავეხმაროთ მგოსანს

გინახავთ როდესმე, სოფლის ბოლოს მოდუდუნე მდინარის პირად, განმარტოებით მდგომი ტირიფი,—აი, ნაღვლიან ძეწნას რომ ეძახიან?

დაკვირვებიხართ როდესმე, რა საოცნებოთ დაუხრია თავი, რამდენი საიდუმლოება გამოიხატება მის დაშვებულ ტოტებში, რა ტკბილათა და თან გულსაკლავთ შრიალებს ხოლმე საღამოობით, მინდვრიდან წამონაქროლ სიოზე? ყური დაგიგდიათ როდესმე მთვარიან ღამეში, იმ დროს, ოდეს ცა მორცხვათ უღიმის ხოლმე ღრუბლებში ნებივრად მოსრიალე მთვარეს, როგორის გულმოდგინებით, როგორის გატაცებით ეკეკლუცება ძეწნა იგი მოლუღლული მდინარის ტალღებს და რა ნაღვლიანათ შესჩივის ხოლმე თავის მარტოობას, თავის სევდა ვარამს!

ისიც ხომ გინახავთ, რომ დროგამოშვებით ძეწნას დახრილ ტოტებიდან ამოგორდებიან ხოლმე ცვარ-მარგალიტები და კვნესით აწყდებიან მდინარის მღვრიე მკერდს, რომ გასწმინდოს იგი ჭუჭყისაგან, გაალხოს მისი გაცივებული გული და ამცნოს მას მარადისობა ყოფნისა, უილაჯობა და უმწეობა მარტოობისა!

აი, ასეთ ნაღვლიან ძეწნას მაგონებს ჩვენს უახლოეს მწერლობაში—ახალგაზრდა მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე!..

არა გჯერათ? წაიკითხეთ მისი ლექსები ცალკე წიგნათ გამოკეთმული,—განიცადეთ კვნესა მისეს გულისა და სევდა მისი არსებაისა.

ზეგარდმონიფითცხებულ პოეტის,—ნამდვილი მგოსნის—სიმღერა „შენი სიტყვით“ არ გადმოიცემის, როგორც ხელი არ შეეხება ეთერს, როგორც თვალით არ დაინახვების ჰაერი!..

მეც სიტყვით ვერ გადმოგცემთ ძალას და სინაზეს გ. ტაბიძისას, იგი უხილავი ტრფობაა დამწვარის გულისა, იგი ბნელ ღამეში დადვრილი ცრემლებია ჩვენის დღიურ სიცხადით დამწვარ თვალებისა!..

ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი გვყავს პოეტები, მოლექსეები! გვყავს მტირალნიც და გვყავს მყვირალნიც, კითხულობთ მათ და გიკვირთ მათი ბაქიაობა, გრძნობთ, რომ ლექსი მათი ნაყოფია უმეცრებით აღსავსე ყოყოჩობისა, სიმღერა მათი შედეგია გაყვითლებულ თავდავიწყებისა!..

„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ
და იქეთ გორას ძვრას ვუზამ,
ას ფუთ რკინასა დავღეჭავ,—
ენას მოვუქნევ—ყლაპს ვუზამ“-ო

ხშირად გაგახსენდებათ ხოლმე ბევრი ჩვენი პოეტის კითხვის დროს ჩვენი ხალხის სარკასტიული თქმულება—და მართლაც, გაკვირვებას ეძლევით, რომ ასეთ მყვირალა მგოსნებს ჰყავთ თავისი დამქაშები, პოეზიის ასეთ „ნაცარ-ქექიებს“ ჰყავთ თავისი კრიტიკოსები, თავისი დამფასებელნი და მერე იმდენი, რომ მათ წინააღმდეგ შიშით ხმა ვერც კი ამოგვიღია.

რომ სთქვა რამე ჯვარს გაცმენ და ისე გაგლანძღავენ, რომ იქნება მტკვარმა და რიონმა ვერც კი გაგრეცხოს..

ნამდვილი პოეზია და ნამდვილი პოეტი ისეთივე იშვიათია, როგორც ნამდვილი ადამიანი, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, როგორც ნამდვილი ჭირიუფალი.

ტექნიკამ და ქიმიამ ბევრი საოცრება გამოიგონა. ცხოვრება ბევრს თაღლითობას მარგალიტებათ ასაღებს და, რასაკვირველია, რომ თაღლით მარგალიტებში გარეული ჭეშმარიტი მარგალიტი შეუმჩნეველი დარჩეს, ბრჭყვიალა ფოლაქებს შორის ოქროს მძივი, ძვირად ვინმემ შეამჩნიოს..

ასე მოსდით ბევრ ჩვენ ნამდვილ პოეტებს და საერთო ღრიანცელში მათი ნაზი, საერთო და საერო ამონაკვნესი ხშირად ბევრს აღარ ესმის.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მწერალ-პოეტი დღემდე შეუმჩნეველი რჩება და იმის მაგივრათ, რომ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს, იმის მაგივრათ, რომ საზოგადოებამ ხელი შეუწყოს უტყუარი ნიჭის გაფურჩქვნას და მშობლიური დახმარება გაუწიოს—დამწყები იგი ჭეშმარიტის პანგისა და მსოფლიო სევდის გამოსათქმელად გამზადებული ახალგაზრდა მგოსანი იგი—სულს ღაფავს სადმე ნესტიან სარდაფში: ავადმყოფი, მშიერი, მწყურვალი, შიშველი—უპატრონოთ და უამხანაგოთ.

ბევრმა ჩვენმა ჩინებულმა მწერალ-პოეტმა დალია სული ამ ბედში. ბევრი მათგანი დახჭნა—გაუფურჩქნავათ, გაუხარებლად.

მაგალითები საჭირო არ არის. ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს მწერლობას, იმან ძალიან კარგად იცის მათი სახელები. ვინც შეპყრობილი არ არის პარტიულის ეინით, ან დაბრმავებული არ არის თვითმოყვარეობითა და თავდავიწყებით, ის კარგად ხედავს ჩვენი მწერლობის უმწეო მდგომარეობას.

ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ახალგაზრდა მგოსანი გალ. ტაბიძეც..

თქვენ ხშირად გენახვებათ ქუთათურებო, მაღალ-მაღალი, გამხდარი, მაგრამ მშვიდი სახის, ცოცხალი, ცეცხლისმფრქვევი თვალებიანი ახალგაზრდა კაცი, ნელის ნაბიჯით რომ დადის ხანდახან ბულვარის ქვაფენილზე და ნაღვლიანის თვალებით ათვალიერებს თავდავიწყებას მიცემულ მოსეირნეთ..

—ვინ იცის რას ფიქრობს, რას გრძნობს ხოლმე ამ დროს? ძნელი სათქმელია! ერთი კი აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველ ასეთ სეირნობის შემდეგ, იგი უსათუოდ დასწერს ხოლმე ისეთ ლექსს, რომელიც მხილებაა ჩვენის ფუქსავატობისა და გადაგვარება-თავდავიწყებისა..

—ვკითხულობთ კი ამ ლექსებს?.. მე მგონია რომ — ძალიან ნაკლებათ, ორემ ასე დავიწყებული არ გვეყოლებოდა იგი, ვინც სწუხს ჩვენს მაგივრათ და სამშობლო ქვეყნის სამსხვერპლოზე დნება წმინდა სანთელივით ჩვენის ცოდვებისა და უმეცრების გამოსასყიდათ.

აი, ეს უმაწვილი მგოსანი — ოც ამ თვეს ქალაქის თეატრში ჰმართავს სალიტერატურო საღამოს თავის სასარგებლოდ. ძნელი და აუტანელი უნდა იყოს ძალზე ხელმოკლე მგოსნისთვის ასეთი ხელის გაშვერა — მაგრამ ჩვენ ვაგრძნობინოთ, რომ ალალია მისთვის თითოეული ჩვენთაგანის წვლილი, როგორც დედის რძე და ჩვენის პოზით, ჩვენის გროშების გაღებით შევუქმნათ მას ისეთი მდგომარეობა, რომ ერთხანს მაინც დაავიწყდეს „ძებნა ლუკმა პურისა“ და ჩვენის თანაგრძნობით გამხნევებული, ოცნებით გაფრინდეს ცაში ვარსკვლავებთან სალაპარაკოთ, მიწიერ ბოლმა-ნაღველის გასაქარვებლად.

მაშ, ოც ამ თვეს გავწიოთ ყველამ ქართული თეატრისაკენ..

ეს არის ჩვენი მოვალეობა!..

დაძლევისათვის

ფინანსების ინსტიტუტს, მისი ჩამოყალიბება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. კვლევა წარმართება ძირითადად შემდეგ პრობლემებზე: ეკონომიკური ანალიზი, მაკროეკონომიკური პროგნოზირება, ფინანსები, კრედიტი, დარგების, დარგთშორისი კომპლექსების ეკონომიკა და პროგნოზირება, დაზღვევა და ფულის მიმოქცევა, აღრიცხვა, სტატისტიკა და კონტროლი, საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური რეფორმა, მარკეტინგი და პროდუქციის მიწოდება-მოთხოვნის პროგნოზირება, ეკონომიკა და კომპიუტერიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საინვესტიციო პოლიტიკა, რეგიონის ეკონომიკა, ფინანსები და პროგნოზირება და ა. შ. ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ოცდაშვიდი სამეცნიერო განყოფილება. მათ შორის ათი რეგიონალური განყოფილება, ამასთანავე ინსტიტუტი ეწევა სასწავლო საქმიანობას. ფუნქციონირებს ოთხი მსხვილი სასწავლო კათედრა, კაბინეტ-ლაბორატორიები. ინსტიტუტი აწარმოებს ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. სულ მოკლე დროში ინსტიტუტის კოლექტივმა აქტიური მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციის შემუშავებაში. ზემდგომ ორგანოებს წარუდგინა ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის და ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემა.

—თქვენ მრავალი შრომის ავტორი ბრძანდებით პროგნოზირების დარგში. როგორია, თქვენი აზრით, დღევანდელი პროგნოზები?

—პროგნოზირება რთული და სარისკო საქმეა. მომავალში იმპეშრის საბოლოო რღვევის პროცესში მოსალოდნელია მისი მოდიფიკაცია. ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ დამდგარა კრიზისის პიკი, უახლოეს პერიოდში კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება. საქართველო უმოკლეს დროში გახდება თავისუფალი, თუმცა ამისათვის კვლავაც რთული გზა გვექნება გასავლელი. უნდა მოვეძებნოთ უფრო მძიმე, ეკონომიური სირთულეების დაძლევისათვის. შემდეგ კი დაიწყება აღმავლობის პროცესი.

(საქინფორმი)

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება!

ორბელის კოლმეურნეობაში იყიდება სამშენებლო კირი.

ი. ბურჯალიანი

ვარიკა ბურამის ასულ ბურჯალიანს
დათო გრიშას ძე მეშვეღიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გეამრავლებინოთ ფუძე-ჩენი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ნათია, ელისო, ამირან ბურგუჩიანები.



იზო ჩაკვეტაძეს
ვურთაზ ახვლედიანს

გილოცავთ შვილების ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში.

ლაჯანის საავადმყოფოს თანამშრომლები.

შაკა მაკა ბურგუჩიანებს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და წინსვლას ცხოვრებაში.

ბაბა, ზურიკო, ლიდა ბურგუჩიანები.

როლანდ (ტუხუ) გალაქტიონის ძე მანდარიას

გილოცავთ დაბადების 50 წლის შესრულებას. იდღეგრძელეთ და იბედნიერეთ. გფარავდეთ ღმერთი.

ლაშა გივის ძე ბურჯალიანი ოჯახით.

ნანა, გოგი, ვლადიმერ გვეშიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ქალი. გფარავდეთ მაღალი ღმერთი.

ლაშა ბურჯალიანი, შარდენ გვეშიანი ოჯახებით.

ლენა სვანიძეს, დიტო გოგიძეს

გილოცავთ შვილიშვილისა და შვილის შეძენას. ღმერთმა მისი გაზრდით გაგახაროთ.

გრიგოლ ბენდელიანი, მარინე, ბადრი ბანძელაძეები ოჯახებით.

კოგა ვაჟას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ და ხალისიან მომავალს.

მალე, სულ მალე ბედნიერება და გამრავლება მოგველოცოს ვფარავდეს ღმერთი.

მევლუდ, დალი, ანა ლიპარტელიანები.

გიორგი ნიკოლოზის ძე ჯარსელაძეს

გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. იდღეგრძელეთ აწ და მარადის.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ია ასათიანს
ჯემალ კოპალიანს

გილოცავთ შვილის ირმას ბედნიერებას.

გურამ კოპალიანი ოჯახით.

ლამარა გიორგის ასულ ლოლიძეს
კუკური ერმილეს ძე გაგნიანს

გილოცავთ შვილის ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში. ვუსურვებთ სულ წინსვლას და გამარჯვებას.

მანანა გორგასლიძე, კობა ფრუიძე, ნუნუ მეშველიანი, ბეჟან ტვილდიანი.

როზა შუგითიძეს

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას.

გუგული ლიპარტელიანი.

ალიოშა ჩორგოლიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ეორა (გურგენ) იაკობის ძე ყურაშვილი.

გიგი ურთმელიძე, ელადიმერ ფრუიძე, ნიკო ჯანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა (გურგენ) ყურაშვილი

დედა მერი, მეუღლე ლალი, შვილები ლაშა, ხათუნა, ბებია ნინო, ძმა ჯუსტანი, დაჯინსიძე გივი ფანჩვიძე, რძალი ციცო თოთაძე, ძმისშვილები გოგი, გოჩა, დისშვილები ნატო, ზურიკო, სიდედრი თამარი, სამამრი სერგო, ცოლისძმა ტარიელ გუგუშვილები, ბიძები კარლო, როლანდ, ნოდარ გორგასლიძეები, დეიდა სონია, საშა, თალიკო, ბიცოლები ვენერა, ირა, თინა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯონი ეორას ძე ხეცურიანი

დაკრძალვა 26 ოქტომბერს, შაბათს, 16 საათზე სოფ. უსახელოში.

ქვისლები კაპიტო მინდაძე, შოთა კენჭაძე, სიძეები ვასილ გვიშიანი, გენადი, გოგი ახვლედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ნესტორის ძე ბურჯალიანი.

ლილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლენა დავითულიანს მამის

გრიგოლ დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

სოციუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მალედი საღინაძეს ბიძაშვილის

ნუგზარ ჯოიას ძე საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ბიძა დადაში, ბიცოლა თალიკო, ბიძაშვილები მალედი, მამუკა, მადონა საღინაძეები, სიძეები დემურ უგრეხელიძე, ზაურ კოპალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ ჯოიას ძე საღინაძე

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელვარა, ჯონი ყვირილიანებს მამისა და სიმამრის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ოხა ბურჯალიანი-თეარაძე, როსტომ თეარაძე იუწყებიან

ჯონი ხეცურიანის

გარდაცვალებას.

ეორა, გაგა გვეშიანები, შოთა, გრიშა ბურჯალიანები ოჯახებით იუწყებიან

ჯონი ხეცურიანის

გარდაცვალებას.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ელვარა ბურჯალიანს მამის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

იუზა მინდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლერლა, თამაზ ლეთოდიანებს დეიდაშვილის

ნუგზარ ჯოიას ძე საღინაძის

გარდაცვალების გამო.

მუხრან მურცხვალაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი

გია ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჯონი ეორას ძე ხეცურიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შოთა, კარლო ცვარიანები, ეკა, ბორის გოლეთიანები, გრიგოლ, ვალერი ბენდელიანები თანაუგრძნობენ მევლუდ გოგი ბენდელიანებს დედის

ლოლას

გარდაცვალების გამო.

მამუკა ნემსწვერიძე, უსუპი ბაბუკიანი, ჯოჯო ალავიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

შვილები მუხრანი, სოზარი, ნახუალა, რეზო, რძლები ფედორი, ლია, მანანა, ინგა, სიძე ზური ზვიადაძე, ძმა ბიქტორი, დაეფა, შვილიშვილები ნესტანი, მაია, ზაზა, ლაშა, ბერია, კახა, ფიქრია, ვალერი, ძმისშვილები, დისშვილებს, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისძმა, ცოლისდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ლუკას ძე ბურჯალიანი

დაკრძალვა 26 ოქტომბერს შაბათს სოფ. ორბელში.

მეუღლე ეთერი, შვილები ანა, ლენა, ძმა შალვა, შვილიშვილები ბელა, ლელა, გოგი, მელანო, გიორ, სიდედრი ნადია, სიძეები გიგა ბაბუკიანი, თენგიზ გოქაძე, თემურ ჯანელიძე, კახა შარაშიძე, ცრლისდა ლედი, ქვისლი ლადო ხვადაგიანი, ძმისშვილები, დისშვილი, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ ბიქტორის ძე
დავითულიანი

დაკრძალვა 24 ოქტომბერს, ხუთშაბათს, სოფ. ლაჯანაში.

იუზა დაშნიანი, ეორა ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

ზურაბ ნიკოლოზის ძე
დაშნიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 ოქტომბერს, ხუთშაბათს, 3 საათზე ქ. თბილისში. გამოსვენება ალარა ცეტკინის ქ №86.

ნოდარ ცვარიანი ოჯახით იუწყება

ჭიჭიკო ნესტორის ძე
ბურჯალიანის

გარდაცვალებას.

რუბენ ჭელიძე, თამაზ ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან

ნუგზარ ჯოიას ძე საღინაძის

გარდაცვალებას.

„ცაგერრაიგაზის" საამქროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გია დავითულიანს ძმის

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

ბიჭიკო, ანზორ, გალაქტიონ, ბურგუჩიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ნესტორის ძე
ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვენედი ბახარობლიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ ბიქტორის ძე
დავითულიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ალექსანდრა ასათიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჯონი ეორას ძე ხეცურიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულს ოჯახს.

გიზო კოპალიანი, ჯონდო საღინაძე ოჯახებით იუწყებიან

ნუგზარ ჯოიას ძე საღინაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მალხაზ კვენტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჯონი ეორას ძე ხეცურიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ალპანის დარგობრივი საავტო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლოლა ფრუიძეს ძმის

ეორა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

მევლუდ გუგული, შვილები რეზო, ელვარა, ქალიშვილი ბოვარისა მიქაძე, ბიძა ალექსანდრა ბიძა აკაკი ...

ჯონი ყვირილანი, ვახტანგ ფერაძე, გრიშა სვანიძე, ჯიბო ახვლედიანი, შვილიშვილები ნინო, როსტომი, ეკა, მარიკა, რუსუდანი, ნინო, გიორგი, თამარი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ნესტორის ძე
ბურჯალიანი

დაკრძალვა 27 ოქტომბერს, ქვირას სოფ. ორბელში.

ზურაბ ჩიქოვანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი.

ჭერაგი, კარლო ყვირილიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიკო ნესტორის ძე ბურჯალიანი

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხათუნა ოშანაძეს ბებიის

მარიამ გიორგელიძის

გარდაცვალების გამო.

ჯემალ, ვიტალი, ამირან, კუკური ხეცურიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯონი ეორას ძე ხეცურიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჯიმერ, არტურ ყვირილიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ელვარა, ჯონი ყვირილიანებს მამისა და სიმამრის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ტუტუ, დალი ხაბულიანები, მზია ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზიკო, რუბენ, თამაზ ჭელიძეებს, თამაზ, ლეილა ლეთოდიანებს დისშვილისა და დეიდაშვილის

ნუგზარ ჯოიას ძე საღინაძის

გარდაცვალების გამო.

გუგული კოპალიანი, ოთარ სილაგაძე, ოთარ ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურიკო ნიკოლოზის ძე
დაშნიანი.

მურად ბურჯალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნოდარ გორგასლიძის ოჯახს დისშვილის

ჯონი ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ეკა, ბუკიანი, თენგიზ გოქაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ ბიქტორის ძე
დავითულიანი

რაიაბრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამირან ხაბულიანს დეიდაშვილის

ნუგზარ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

გოჩა საღინაძე იუწყება ნათლულის

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციალ დაშნიანს ბიცაშვილის

ზურაბ დაშნიანის

გარდაცვალების გამო.

ალპანის დარგობრივი საავტო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნოდარ გორგასლიძეს დისშვილის

ჯონი ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.